დანართი: №2

სტაჟირება უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების სტუდენტებისათვის

სტაჟირება განკუთვნილია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის.

ბენეფიციარები სტაჟირების გავლას 4 თვის განმავლობაში შეძლებენ შემდეგ შემოქმედებით კოლექტივებში:

- სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“;
- სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა;
- სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- სსიპ გიორგი რატიანის სახელობის სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი;
- ა(ა)იპ აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“.

სტაჟირებისთვის წარმოდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) პირადობისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

ბ)რეკომენდაცია უმაღლესი სახელოვნებო დაწესებულებიდან (თუ განმცხადებელს დასრულებული აქვს სწავლა 1 წლის განმავლობაში რეკომენდაციის ნაცვლად საჭიროა შესაბამისი დიპლომის ასლი);

გ) სამოტივაციო წერილი;

დ) ფესტივალებში, კონკურსებში, ოლიმპიადებსა და სხვადასხვა სახელოვნებო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, დიპლომები, ჯილდოები ან/და ნებისმიერი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან და სხვა მასალა, რომელიც წარმოაჩენს განმცხადებლის უნარებსა და შესაძლებლობებს სახელოვნებო/შემოქმედებითი მიმართულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
ა) მიღებული განაცხადების გადარჩევა;
ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

სტაჟირება არაანაზღაურებადია;

სტაჟირების დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

განცხადებები მიიღება **30 ივლისიდან 15 სექტემბრის** ჩათვლით მატერიალურად სამინისტროში (დ. უზნაძის ქ. #68) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ელექტრონული პორტალის მეშვეობით (https://portal.abkhazia.gov.ge); საკონტაქტო ტელ: 577 34 85 34